# თეთრი პეპლების თავდასხმა



ამერიკული თეთრი პეპლის შეწამვლა ყველაზე ეფექტური ადრიან გაზაფხულშია

**დასავლეთ საქართველოში თეთრი პეპლის მატლი გამოსაზამთრებლად საცხოვრებელი სახლებისკენ იწევს. შეწამვლის მეთოდი მეორე თაობის მწერზე აღარ მოქმედებს და მისი განადგურების მხოლოდ ერთი, მექანიკური ხერხი – გასრესა არსებობს, თუმცა მწერთან ბრძოლა ახლა დაგვიანებულია. უკვე ცნობილია, რომ 2012 წელს ამერიკული თეთრი პეპლის გავრცელება დასავლეთ საქართველოში პიკს მიაღწევს.**

ნანა კვაჭაძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა, **ავთანდილ მურვანიძემ,** რამდენიმე წლის წინ მშობლიურ სოფელში პატარა ექსპერიმენტი ჩაატარა: მეზობლებს უთხრა, რომ მასთან მიტანილ, მკვდარ ყოველ ამერიკულ თეთრ პეპელაში 5 თეთრს გადაიხდიდა. მეზობლებს ექსპერიმენტი მოეწონათ, განსაკუთრებით ბავშვებს, რომლებსაც დამატებით ჯიბის ფულის შოვნის შესაძლებლობა გაუჩნდათ. ექპერიმენტის მიზანი ერთი იყო – ავთანდილ მურვანიძეს გლეხებისთვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ თუკი გაზაფხულზე ნათურასთან მოფარფატე, ერთი შეხედვით უვნებელ მწერს ადვილად მოკლავდნენ, ამით ხეხილს ასიათასობით ამერიკული თეთრი პეპლისგან დაიცავდნენ.

„ერთი პეპელა ათასზე მეტ კვერცხს დებს. წელიწადში ორ თაობას იძლევა, რომლებიც ამდენივე რაოდენობის კვერცხს დებენ და საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ ერთ ამერიკულ თეთრს პეპელას ნახევარმილიონამდე შთამომავალი შეიძლება ჰყავდეს,“ – ამბობს ავთანდილ მურვანიძე, რომელიც აკადემიკოს **გურამ ალექსიძესთან და ესმა ორჯონიკიძესთან** ერთად, ეროვნული გრანტის ფარგლებში, სამი წლის მანძილზე იკვლევდა ამერიკული თეთრი პეპლის გამოვლენისა და ლიკვიდაციის მეთოდს.

მეთოდი, რომელსაც სპეციალისტები უწევენ რეკომენდაციას, საკმაოდ მარტივია – ამერიკული თეთრი პეპლის მექანიკური განადგურება. „ამერიკული თეთრი პეპელა ორ თაობას იძლევა, ადრიან ივნისსა და აგვისტოში, თუმცა მასთან ბრძოლის დაწყება ყველაზე ეფექტური მაისის თვეშია. როცა გაზაფხულზე პეპელა გამოფრინდება და ნათურას ეტანება, მოსპეთ ის პეპელა და გარანტირებულია, რომ მეორე თაობაში მინიმუმ ასი ათას მატლს მოსპობთ. ეფექტურია პეპლის ხეზე გამოჩენისთანავე ხის ტოტის მოჭრა და განადგურება. არ უნდა დაველოდოთ, როდის მოვა სახელმწიფო და შეგვიწამლავს, ჩვენით უნდა დავიწყოთ ამაზე მუშაობა. ბუდე მაშინვე უნდა მოვსპოთ, სანამ ხეზეა, რომ გავრცელება შევაჩეროთ“, – **ამბობს ავთანდილ მურვანიძე.**

თუმცა მექანიკური განადგურების ეფექტურობას გლეხები ეჭვის თვალით უყურებენ.

„კარგი, მე გავანადგურე, მოვჭერი ტოტები და დავწვი, მაგრამ მეზობელიც იზამს ასე? ან კიდევ რამდენი ტოტი შეიძლება მოაჭრა ხეს?“

– კითხულობს მზია ღლონტი რომელიც ამბობს, რომ წელს თხილის მოსავლის აღება ძალიან უჭირს, რადგან მცენარის ტოტებიდან ამერიკული თეთრი პეპლის ჭუპრი ცვივა.

ის ფიქრობს, რომ ეს საზრუნავი მთავრობამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე და ხეები შეწამლოს. გლეხები იმასაც უჩივიან, რომ შეწამვლა დაგვიანებით ხორციელდება, ამიტომაც არ არის ეფექტური.

საქართველოში მავნე მწერების, მათ შორის ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ ბრძოლაში პასუხისმგებელი სურსათის უვნებლობის სააგენტოა. სააგენტოს პრესცენტრის უფროსის, **ვერიკო გულუას** მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, წელს დასავლეთ საქართველოში მეორე თაობის ამერიკული თეთრი პეპლების გასანადგურებლად 20 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი დამუშავდა კონტაქტური და ნაწლავური მოქმედების პრეპარატებით, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

„ახლა ხეხილის შეწამვლა საკმარისი არ არის“ – **განმარტავს ავთანდილ მურვანიძე,** – „როგორც კი დავიწყებთ შესხურებას, მწერი გრძნობს წამალს, იგორგლება, ცვივა დაბლა და ტოვებს ტერიტორიას. მაშინ უნდა შევწამლოთ ის ტერიტორიაც, სადაც ჩამოვარდა მწერი“.

როგორ აისახება ამერიკული თეთრი პეპლის გავრცელება მოსავალზე? – ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაა, რომელიც გლეხებს აწუხებს.



ავთანდილ მურვანიძე

ავთანდილ მურვანიძე ამბობს, რომ დაზიანებული ხის მოსავლიანობა იკლებს, ხოლო თუკი ამერიკული თეთრი პეპელა მცენარეზე მომავალ წელსაც გამოჩნდა, ხე შეიძლება გახმეს.

გაიზარდა თუ არა წელს ამერიკული თეთრი პეპლის გავრცელების არეალი და რას უკავშირდება ეს? – სურსათის უვნებლობის სააგენტოში ამბობენ, რომ რეგიონებში თეთრი პეპლის გავრცელების შესახებ მონაცემები ყოველწლიურად იცვლება. წელს ამ მონაცემებში აჭარა „ლიდერობს“.

„ამერიკულ თეთრ პეპელას ზიგზაგისებური განვითარების ციკლი გააჩნია“, – ამბობს ავთანდილ მურვანიძე. – „არის კლებადობისა და მატების პერიოდები. 2007 წელს შეინიშნებოდა კლებადობა, 2008 წლიდან დაიწყო მატება,

2012 წელს ამერიკული თეთრი პეპლის განვითარება პიკს მიაღწევს, 2012 წლის შემდეგ გაივლის ოთხ-ხუთწლიან კლებადობის ციკლს და შემდეგ ისევ მატებას დაიწყებს.

როცა ვიცით ამის შესახებ, შეგვიძლია, ზოგ შემთხვევაში, ნაკლები ძალისხმევა დავხარჯოთ მისი გამრავლების შესაჩერებლად“.

სურსათის უვნებლობის სააგენტოში ამბობენ, რომ დაახლოებით ათ დღეში თეთრი პეპლის „თავდასხმა“ დასრულდება. ჭუპრი სახლებში იწყებს შესვლას გამოსაზამთრებლად, რომ სახურავებზე დაიბუდოს, მოსახლეობას კი სახლის კედლებზე მცოცავ მწერებთან გამკლავება უჭირს. მატლს ახლა არც შეწამვლა შველის, რადგან ქიმიური, კონტაქტური პრეპარატი ვერ აღწევს მატლის ბუსუსებში. მომავალ გაზაფხულს ამერიკული თეთრი პეპელა ისევ გამოჩნდება.„ბათუმელები“ ამერიკულ თეთრ პეპელასთან ბრძოლისა და პრევენციის მეთოდებზე მომზადებული მასალებით ამ თემას არაერთხელ დაუბრუნდება.

# შვიდი მილიონი და გაყინული პროექტი

**„მყარი ნარჩენების მართვის პროექტი აჭარაში“, რომლის განსახორციელებლად სახელმწიფომ 2009 წელში 4 მილიონი ევრო გრანტის სახით და 3 მილიონი ევრო სესხად მიიღო, დღემდე არ განხორციელებულა. გარემოს დაცვის სამმართველო არ ადასტურებს ინფორმაციას პროექტის შეჩერების თაობაზე. პრესსამსახურის ხელმძღვანელის – დალი მახარაძის თქმით, ამ პროექტს აჭარის მთავრობა ახორციელებს. დაბა ჩაქვში ნაგავსაყრის მშენებლობას ადგილობრივი მოსახლეობა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ ეწინააღმდეგება. შეაჩერებს თუ ვერა ორგანიზაციის აქტივობა პროექტს? – ამ საკითხზე „ბათუმელებთან“ ორგანიზაციის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგრამის კოორდინატორი დავით ჭიპაშვილი საუბრობს.**

ცაგო კახაბერიძე

**– როგორც ვიცით, თქვენ ეწინააღმდეგებოდით პროექტის განხორციელებას, შეგიძლიათ დაადასტუროთ, რომ პროექტი შეჩერებულია?**

– ინფორმაციას დაზუსტებით არ ვფლობ, მაგრამ ვიცი, რომ ამ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გარემოს დაცვის სამინისტროში ნებართვის გაცემაზე განაცხადი ჯერ არ შესულა. ნებართვის გარეშე პროექტის განხორციელებას ვერ დაიწყებენ.

**– ამ საკითხთან დაკავშირებით თქვენი ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში გარდაუვალი იქნებოდა გარემოს დაბინძურება, რის საფუძველზე განაცხადეთ ეს?**

– „მწვანე ალტერნატივა“, ზოგადად, არ ეწინააღმდეგებოდა აჭარაში ნარჩენების მართვის პროექტს, მსგავსი პროექტის განხორციელება აუცილებელია, მაგრამ ჩვენ მივიჩნევთ, რომ ამ პროექტის ალტერნატივა არ იქნა სათანადოდ შესწავლილი, ანუ ნაგავსაყრისთვის გამოყოფილი ტერიტორია, რომელიც მიჩნეულია უპირატესად, არ არის უპირატესი. დამატებითი კვლევები ამ საკითხზე არ ჩატარებულა. აქედან გამომდინარე, ჩვენი პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ ვითხოვდით დამატებითი კვლევების ჩატარებას ნაგავსაყრისთვის ალტერნატიული ადგილმდებარეობის მოძებნის მიზნით. ამ ეტაპზე გაურკვეველია, რა ხდება პროექტთან დაკავშირებით, როგორც ვიცით, ახალი ადგილის მოძებნას არ აპირებენ.

**– განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ პროექტის განხილვისას ერთ-ერთმა კონსულტანტმა შეურაცხყო ადგილობრივი მოსახლეობა და „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი. რა მოხდა, კონკრეტულად?**

– ადგილობრივი მოსახლეობა ეწინააღმდეგება პროექტის განხორციელებას. ისინი მიიჩნევენ, რომ ნაგავსაყარის მშენებლობა უარყოფითად იმოქმედებს მათ შემოსავლებზე, ვინაიდან მათთვის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო არის ტურიზმი. ჩაქვში, გზის პირას, ნაგავსაყარის არსებობა კი ნიშნავს იმას, რომ ისინი შემოსავლის ამ წყაროს დაკარგავენ.

რაც შეეხება შეურაცხყოფას, მართლაც მოხდა მსგავსი ფაქტი. როდესაც ამ პროექტის საჯარო განხილვები დაიგეგმა, მე ჩავედი ჩაქვში, რომ შემემოწმებინა, იცოდა თუ არა ამ საჯარო განხილვების შესახებ მოსახლეობამ. აღმოჩნდა, რომ არათუ განხილვის თაობაზე, არამედ პროექტის შესახებაც არაფერი იცოდნენ. მე მათ მივაწოდე ინფორმაცია და მოვუწოდე კიდეც, რომ აქტიურად ჩართულიყვნენ განხილვის პროცესში და ასეც მოხდა, შეხვედრაზე ძალიან ბევრი ადამიანი მოვიდა, სადაც მათ დააფიქსირეს პროტესტი დასახლებასთან ახლოს ნაგავსაყრის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ კონსულტანტებმა მოსახლეობის აბუნტებაში დამდეს ბრალი. შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად არავინ ამიბუნტებია. მათი უფლება იყო, მიეღოთ ამ პროექტის განხილვაში მონაწილეობა, მე მათ მხოლოდ ამ პროექტის და მისი განხილვის თარიღის შესახებ შევატყობინე. უცნაური ფაქტი იყო ისიც, რომ როგორც თავად გვითხრეს, ჩაქვის გამგეობაშიც ბოლო წუთებში გაიგეს ამ განხილვის შესახებ.

**– როგორ, რა გზით შეაჩერეთ პროექტი?**

– ჩვენ დავწერეთ ჩვენი შენიშვნები და შეფასებები გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტის პირველ ვარიანტზე. შემიძლია გითხრათ, რომ ამ შენიშვნების უმეტესი ნაწილი გაითვალისწინეს, მხოლოდ ალტერნატივის საკითხი არ გაითვალისწინეს. ამის შემდეგ კიდევ მოაწყვეს რამდენიმე საჯარო განხილვა, ეს უფრო გამოწვეული იყო მოსახლეობის გააქტიურებით და არა – ჩვენი შენიშვნების გამო. ჩვენ მივმართეთ ასევე გარემოს დაცვის სამინისტროს წერილობით, გადავეცით ჩვენი შენიშვნები და მოვითხოვეთ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა; მოვითხოვეთ ასევე გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტი, რომელიც უნდა შესულიყო ნებართვის მისაცემად; ამას დავურთეთ ჩაქვის მოსახლეობის წერილიც. ამის შემდეგ პროცესი გადაიდო და არაფერი ხდება ამ კუთხით. ვიცი, რომ ჯერ ნებართვა არ აქვთ. არის შესაძლებლობა, რომ ნებართვის მიღებისგან გათავისუფლდეს პროექტი, მაგრამ რამდენადაც ვიცი, მსგავსი რამ ჩაქვის ნაგავსაყართან დაკავშირებით ჯერ არ განხორციელებულა. თუმცა დაზუსტებული ინფორმაციით, თანხა მიღებულია, რადგან სასესხო ხელშეკრულება ხელმოწერილია.

**– აჭარაში უკვე მოქმედი ნაგავსაყარიც სერიოზული პრობლემაა მოსახლეობისათვის. რა რეკომენდაციები გაქვთ ამასთან დაკავშირებით?**

– ეს პროექტი ითვალისწინებდა არამარტო ახალი ნაგავსაყრის მოწყობას, არამედ არსებული ორი ნაგავსაყრის დახურვასაც, რაც მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის თვალსაზრისით. ჩვენ ვითხოვთ, მოინახოს ოპტიმალური, ისეთი ადგილი, რომ ამით ზიანი არ მიადგეს გარემოს. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, უკეთესი ადგილია თუ არა, რადგან ჯერ არ გვაქვს ბოლომდე შესწავლილი, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამოკიდებულება – უკეთესი ადგილი ამისათვის არ არსებობს აჭარაში, მიუღებელია. არსებობს თუნდაც ოჩხამურში თავისუფალი ტერიტორია, სადაც შეიძლება ამ პროექტის განხორციელება. თან არის ახალი რეალობაც, თუ ადრე არგუმენტი იყო ის, რომ ოჩხამური ბათუმიდან შორს არის და ნარჩენების მართვის კომპანიას ეს ხარჯებს გაუზრდიდა, ამ შემთხვევაში ახალი შემოვლითი გზის მშენებლობა ხარჯებს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

**– ხშირად ხდება ისე, რომ ჯერ ხელს აწერენ შეთანხმებას კონკრეტული პროექტის განხორციელებაზე და შემდეგ განიხილავენ – ხომ არ მოახდენს პროექტი მავნე ზემოქმედებას ბუნებაზე. რამდენად შეესაბამება კანონმდებლობას და როგორ აქვთ ეს საკითხი დარეგულირებული ევროპის ქვეყნებს?**

– საქართველოს კანონმდებლობა ამ მხრივ ძალიან სუსტია, ეს კი მსგავს პროექტებს მთელი რიგი წინაპირობებისგან ათავისუფლებს. რაც შეეხება ევროსტანდარტებს, საქართველოში ყველა დიდი პროექტი ხორციელდება რომელიმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მონაწილეობით, მათ კი თავიანთი სტანდარტები აქვთ. ამ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის ნაკლოვანებები ნაკლებად ჩანს. ევროკავშირს კი აქვს თავისი დირექტივები, რომლის მიხედვითაც რეგულირდება მსგავსი საქმიანობა.



დავით ჭიპაშვილი